

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში: „კორპორაცია“) წარმოადგენილი თენგიზ ბერიაშვილის სახით (პირადი №01007008310), რომელიც მოქმედებს ორიათასათი წლის 1 ივნისს, ნოტარიუს ნანი სიღამონიძის მიერ შედგენილი და სანოტარო წესით დამოწმებული, „კორპორაციის“ გენერალური დირექტორის მინდობილობის საფუძველზე (სანოტარო მოქმედების რეგისტრის №100522054) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი რობინზონ ხახნელიძე (შემდგომში, „მიწის მესაკუთრე“) (პირადი №31001017299), „მიწის მესაკუთრე“ და „კორპორაცია“ შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება როგორც „მხარეები“, „მაგისტრალური გაზსადენის საგურამო-ნავთლუღის მონაკვეთისა და შესაბამისი ნაგებობების მშენებლობის პროექტის“ (შემდგომში „პროექტი“) განხორციელების უზრუნველსაყოფად, „კორპორაციის“ მიერ „მიწის მესაკუთრის“ კერძო საკუთრებაში არსებულ „მიწის ნაკვეთზე“ მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციისა და სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით,

წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „პროექტის“ განხორციელების უზრუნველსაყოფად „მიწის მესაკუთრის“ კერძო საკუთრებაში არსებული „მიწის ნაკვეთის“ „კორპორაციის“ სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთვა.

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ სიტყვებს და ფრაზებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. სამშენებლო პერიოდი - „მიღსადენისა“ და „მიღსადენი საშუალებების“ მშენებლობის და/ან რეკონსტრუქციის მიმდინარეობის პერიოდი, „მშენებელი კონტრაქტორის“ მიერ სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღსადენის ექსპლუატაციაში მიღებამდე, ყველაწარმოების ტესტირებისა და გამოკვლევების და ხარვეზების გამოსწორების პერიოდების ჩათვლით.

2.1.2. ექსპლუატაციის პერიოდი - „მიღსადენისა“ და „მიღსადენი საშუალებების“ ექსპლუატაციისა ან/და ფიზიკური არსებობის მთლიანი პერიოდი, „სამშენებლო პერიოდის“ დასრულებიდან „მიღსადენისა“ და „მიღსადენი საშუალებების“ სრული დემონტაჟის დასრულებამდე.

2.1.3. მიღსადენის საგანგებო ოპერაციები - მოქმედებები, რომელთა დაუყოვნებლივი განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ან აღდგეს „მიღსადენის“ მთლიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და/ან გარემოს დაცვა (მათ შორის ავარიის ლიკვიდაციისა და პრევენციისაკენ მიმართული მოქმედებები).

2.1.4. მიღსადენის ჩვეულებრივი ოპერაციები - „კორპორაციის“ ან მისი სახელით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროა „მიღსადენი საშუალებებით“ სარგებლობისა და გამოყენების, „მიღსადენისა“ და „მიღსადენი საშუალებების“ ტექნიკური მომსახურებისა და ფუნქციონირებისათვის.

2.1.5. მიღსადენის სარემონტო სამუშაოები - „კორპორაციის“ მიერ ან მისი სახელით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროა რათა შენარჩუნდეს „მიღსადენის“ მთლიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს „მიღსადენის“ შეუფერებელი ექსპლუატაცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და/ან გარემოს დაცვა.

2.1.6. მიღსადენი - „მაგისტრალური გაზსადენის საგურამო-ნავთლუღის მონაკვეთისა და შესაბამისი ნაგებობების მშენებლობის პროექტი“

2.1.7. მიღსადენი საშუალებები - ყველა ნაგებობა, მოწყობილობა და სხვა საშუალება, რომლებიც ერთად შეადგენს „მიღსადენის“ იმ ნაწილს, რომელიც „მიწის ნაკვეთზე“ ან მის ქვეშ არის განთავსებული და, რომლებიც დაკავშირებულია „მიღსადენის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან.

2.1.8. მიწის ნაკვეთი - „მიწის მესაკუთრის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №721333210, რომლის მდებარეობა, საზღვრები, ფართობი და სამართლებრივი სტატუსი იდენტიფიცირებულია ამ ხელშეკრულებაზე თანდართული ამონაწერით „საჯარო რეგისტრიდან“ (დანართი №1).

2.1.9. მიღსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანი (სერვიტუტის მიწა) - „მიწის ნაკვეთის“ ნაწილი, რომელიც უწყვეტი ზეი ხაზებით არის შემოფარგლული, როგორც ეს ნაჩვენებია თანდართულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზზე (დანართი №2), სერვიტუტის მიწის ფართობი 13020 კვ.მ.

2.1.10. შეზღუდვები - წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლში განსაზღვრული შეზღუდვები.

2.1.11. ნაგებობა - „მიწის ნაკვეთის“ მესაკუთრის მფლობელობაში არსებული, „სერვიტუტის მიწაზე“ მდებარე მიწასთან უძრავად დაკავშირებული საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა ნაგებობა.

2.1.12. მშენებელი კონტრაქტორი - „კორპორაციის“ მიერ დაქირავებული კვალიფიციური სამშენებლო კომპანია, რომელიც „კორპორაციის“ ზედამხედველობით შეასრულებს „მიწის ნაკვეთზე“ ყველა სამშენებლო სამუშაოს „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში.

2.1.13. საჯარო რეგისტრი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს“ შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურები.

3. მხარეთა განცხადებები

3.1. „მიწის მესაკუთრე“, ამონაწერით „საჯარო რეგისტრიდან“ ადასტურებს, რომ არის „მიწის ნაკვეთის“ მესაკუთრე და რომ „მიწის ნაკვეთი“ არის უფლებრივად უნაკლო (მიწასთან და მიწაზე არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არცერთ სხვა პირს არ გააჩნია რაიმე მოთხოვნა, უფლება ან ინტერესი).

3.2. „მიწის მესაკუთრე“ ასევე ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტები ყოველმხრივ ნამდვილი და ზუსტია;

3.2. „კორპორაცია“ ადასტურებს, რომ ის არის ორიდირული პირი, რომელიც დაფუძნებულია, რეგისტრირებულია და მოქმედებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და რომ, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პირი არის სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი.

4. უფლებების მინიჭება

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით და მისი პირობების საფუძველზე, „მიწის მესაკუთრე“ „კორპორაციის“ სასარგებლოდ სერვიტუტით ტვირთავს „მიწის ნაკვეთს“ და „კორპორაციას“ ანიჭებს უფლებას, სამშენებლო პერიოდის განმავლობაში შეუზღუდავად ისარგებლოს „მიწის მესაკუთრის“ საკუთრებაში არსებული „მიწის ნაკვეთის“ ნაწილით „სერვიტუტის მიწის“ ფარგლებში;

4.2. სერვიტუტის უფლება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში რეგისტრირებული უნდა იქნეს „საჯარო რეგისტრში“ სანიუთო უფლებად „კორპორაციის“ სასარგებლოდ და მისი არსებობის განმავლობაში დაავალდებულებს როგორც „მიწის მესაკუთრეს“, მის მემკვიდრეებს, ასევე ყველა მომავალ მესაკუთრეს, მოსარგებლეს და ყველა სხვა პირს, რომელიც პრეტენზიას განაცხადებს რაიმე უფლებაზე ან ინტერესზე „სერვიტუტის მიწის“ მიმართ. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, „სერვიტუტის მიწის“ მესაკუთრის ვინაობაში ნებისმიერი ცვლილების

ვაში, ჩაითვლება, რომ ახალი მესაკუთრე გახდა წინამდებარე ხელშეკრულებისა და წინამდებარე სერვიტუტის მხარე ყველა მიზნისათვის და წინამდებარე ხელშეკრულებაში არსებული მითითებები - „მიწის მესაკუთრე“, „მხარეები“, საკუთრების უფლების ასეთი გადაცემის ძალაში შესვლის თარიღიდან, ჩაითვლება მითითებულ ასეთ მესაკუთრეზე ყოფილი მესაკუთრის ნაცვლად.

5. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

5.1. „სერვიტუტის მიწის“ მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში „კორპორაცია“ და/ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სხვა პირები ისარგებლებენ შემდეგი უფლებებით:

5.1.1. „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში თავისუფლად შევიდნენ, შეიტანონ და განათავსონ ნებისმიერი აქანები, მოწყობილობები და მასალა, აგრეთვე აკრძალონ, შეზღუდონ ან არ დაუშვან „მიწის მესაკუთრის“ და/ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ მიწის დაკავება, სარგებლობა, ფლობა და კონტროლი, რამდენადაც ეს აუცილებელია „მიწის მესაკუთრის“ ოპერაციებისათვის;

5.1.2. განახორციელონ ნებისმიერი და ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა „მიწის მესაკუთრის“ სამშენებლო საქმიანობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს გამწმენდ და გათხრით სამუშაოებს, ასევე განახორციელონ დემონტაჟი, ააშენონ და დაამონტაჟონ ნებისმიერი „მიწის მესაკუთრის“ სამშენებლო პერიოდის განმავლობაში;

5.1.3. მშენებლობის დასრულებისთანავე და ნებისმიერ დროს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, განახორციელონ ნებისმიერი და ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა „მიწის მესაკუთრის“ სამშენებლო საქმიანობა, რაც მოიცავს, შეზღუდვის გარეშე, დამატებითი „მიწის მესაკუთრის“ სამშენებლო საქმიანობების და ასეთი სამუშაოებით სარგებლობას, აგრეთვე ნებისმიერი „მიწის მესაკუთრის“ ტექნიკურ მომსახურებას, დაცვას, შეკეთებას, შეცვლას, გადაიარაღებას, განახლებას, განვრცობას, სიმძლავრეების გაფართოებას, განშტოებას, შემოწმებას, დემონტაჟს, ჩანაცვლებას, გაუქმებას და სხვა სამუშაოებს;

5.1.4. შევიდნენ „მიწის მესაკუთრის“ სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანში „მიწის მესაკუთრის“ ნეკულებრივი ოპერაციების, „მიწის მესაკუთრის“ საგანგებო ოპერაციების, „მიწის მესაკუთრის“ სარემონტო სამუშაოების შესრულების და/ან „მიწის მესაკუთრის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული „შეზღუდვების“ შესრულების შემოწმების მიზნით.

5.2. „მიწის მესაკუთრე“ უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც „სერვიტუტის მიწა“ ან მისი რაიმე ნაწილი იქნება მისი ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მფლობელობაში ან/და კონტროლის ქვეშ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „კორპორაციის“ უფლებების განხორციელება არ შეიზღუდება, არ შეეცდება, არ დაექვემდებარება რაიმე პირობას, არ შეწყდება და არ მოხდება მათში ჩარევა ნებისმიერი პირის მიერ.

5.3. „კორპორაცია“ კისრულობს ვალდებულებას:

5.3.1. გადაუხადოს კომპენსაცია „მიწის მესაკუთრეს“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად;

5.3.2. საჭიროებისამებრ, სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე განახორციელოს „სერვიტუტის მიწის“ თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენა, გონივრული შესაძლებლობების ფარგლებში;

5.3.3. „სერვიტუტის მიწის“ თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენის შემდეგ უნდა გაფორმდეს მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ „მიწის მესაკუთრე“, „კორპორაციამ“ და „მშენებელმა კონტრაქტორმა“;

5.3.4. შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში აცნობოს „მიწის მესაკუთრეს“ „მიწის მესაკუთრის“ სარემონტო სამუშაოების დაწყების შესახებ;

5.3.5. „მიწის მესაკუთრის“ სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანში „მიწის მესაკუთრის“ საგანგებო ოპერაციების დაწყებამდე ან დაწყების შემდეგ შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში შეატყობინოს „მიწის მესაკუთრეს“ აღნიშნულის შესახებ.

6. შეზღუდვები

6.1. „მიწის მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, დაიცვას ამ მუხლით გათვალისწინებული „შეზღუდვები“. „შეზღუდვები“ არ ვრცელდება „კორპორაციაზე“ და/ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სხვა პირებზე.

6.2. „მიწის მესაკუთრე“ უნდა დაიცვას „შეზღუდვების“ (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსპორტირების პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის №963 ბრძანებულებით განსაზღვრული შეზღუდვები.

6.3. „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში, აკრძალულია შესვლა და რაიმე საქმიანობის განხორციელება „სერვიტუტის მიწის“ ტერიტორიაზე.

6.4. „მიწის მესაკუთრე“ ვალდებულია, აცნობოს „მიწის მესაკუთრის“ ყველა მოსარგებლეს და/ან ახალ მესაკუთრეს წინამდებარე „შეზღუდვების“ შესახებ.

6.5. წინამდებარე ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე, „მიწის მესაკუთრე“ ვალდებულია, დაუყონებლივ შეატყობინოს „კორპორაციას“ „შეზღუდვების“ ნებისმიერი დარღვევის შესახებ მაშინვე, როგორც კი „მიწის მესაკუთრე“ შეიტყობს ასეთი დარღვევის შესახებ.

6.6. „მიწის მესაკუთრე“ სრულად აგებს პასუხს „კორპორაციის“ წინაშე ნებისმიერი პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანისთვის რაც გამოძინარეობს ან/და დაკავშირებულია „მიწის მესაკუთრის“ ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „შეზღუდვების“ დარღვევასთან.

7. კომპენსაცია

7.1. „კორპორაცია“ „მიწის მესაკუთრეს“ გადაუხდის ერთჯერად კომპენსაციას სერვიტუტით დატვირთულ მიწაზე „მშენებლობის პერიოდში“ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეფერხებისა და მიწის მოცდენისათვის, „მიწის მესაკუთრის“ ადგილის აქტი“-ში (დანართი №3) დაფიქსირებული ნარგავების, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და/ან უძრავი ქონებისათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღვეთის სახარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ (შემდგომში „ბიურო“) მიერ ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე დადგენილი საბაზრო ღირებულებების შესაბამისად.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტის შესაბამისად „კორპორაცია“ გადაუხდის „მიწის მესაკუთრეს“ ერთჯერად კომპენსაციას 1093.68 ლარის (ათასოთხმოცდაცამეტი ლარი და სამოცდარვა თეთრი) ოდენობით.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, „კორპორაცია“ ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ „მიწის მესაკუთრის“ სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანში „მიწის მესაკუთრის“ ნეკულებრივი ოპერაციების, „მიწის მესაკუთრის“ საგანგებო ოპერაციების, „მიწის მესაკუთრის“ სარემონტო სამუშაოების შესრულების შედეგად ნებისმიერი ფაქტობრივად მიყენებული ზიანი, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში, ანაზღაურებული იქნება ფულადი კომპენსაციის სახით, ზიანის მიყენების მომენტისათვის არსებული საბაზრო ფასების მიხედვით, რაც „ბიუროს“ დასკვნით განისაზღვრება. ზემოაღნიშნული კომპენსაცია გადახდილი იქნება „მიწის მესაკუთრის“ და/ან ზიანის მიყენების მომენტისათვის „საჯარო რეგისტრში“ რეგისტრირებული მიწის მოსარგებლის (მოიჯარის) სასარგებლოდ.

4. "მიწის მესაკუთრეს" უფლება არ აქვს მოითხოვოს "კორპორაციისაგან" ან მისი "შემგებელი კონტრაქტორისაგან" თანხა, კომპენსაცია ან/და ანაზღაურება გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული აციისა.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა განხორციელდება ანგარიშსწორების ფორმით. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ელობაში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

7.6. ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს "კორპორაცია".

8. მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის "შხარეთა" მიერ მისი ხელმოწერისა და "საჯარო რეესტრში" გისტრაციის მომენტიდან და ძალაშია "შემგებლობის პერიოდისა" და "ექსპლუატაციის პერიოდის" განმავლობაში.

8.2. "მიწის მესაკუთრეს" არ აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

8.3. "კორპორაციას" უფლება აქვს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რის შესახებაც იგი შეატყობინებს "მიწის მესაკუთრეს".

9. ხელშეკრულების გადაცემა

9.1. "კორპორაციას" უფლება აქვს, ნებისმიერ პირს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს ან სხვაგვარად განკარგოს (ნებისმიერი სახის მოთხოვნის უზრუნველყოფით დატვირთვის ჩათვლით) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი უფლებები და ვალდებულებები და წინამდებარე სერვიტუტის უფლების შესაბამისი ნაწილი. "მიწის მესაკუთრე" აცხადებს უპირობო და შეუქცევად თანხმობას ნებისმიერ ასეთ გარიგებაზე.

10. მარეგულირებელი სამართალი და დავების მოგვარება

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. "შხარები" შეეცდებიან ნებისმიერი დავის მოლაპარაკების გზით მოგვარებას. თუ შხარები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის მქონე სასამართლოს.

10.3. დავის არსებობა გავლენას არ იქონიებს და არ ათავისუფლებს "შხარებს" ვალდებულებიდან, მკაცრად დაიცვან "შესუფლები", ისევე, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი და ყველა სხვა პირობა.

11. სხვადასხვა

11.1. ყველა დანართი, დამატება და ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში უნდა განხორციელდეს "შხარების" ხელმოწერით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებაში განუყოფელ ნაწილს.

11.2. "შხარები" უპირობოდ თანხმდებიან, რომ "სამშენებლო პერიოდის" დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი დანართ N2-ში, რათა ფაქტიურად არსებული მდგომარეობის შესაბამისობით დაფიქსირებული იქნეს "მიღსადენისა" და "მიღსადენი საშუალებების" ზუსტი მდებარეობა, "მიწის ნაკვეთის", "მიღსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფნის" და "სერვიტუტის მიწის" საზღვრები.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და არც შემდგომ, "მიწის მესაკუთრეს" არ ექნება რაიმე უფლება ან ინტერესი "მიღსადენ საშუალებებზე", ისევე როგორც მიწის ზევით ან მის ქვეშ "კორპორაციის" ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სხვა პირების მიერ განთავსებული რაიმე სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების მიმართ.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა "მიწის მესაკუთრეს", ერთი წარედგინება "საჯარო რეესტრს" სერვიტუტის უფლების რეგისტრაციის მიზნით, ორი გადაეცემა "კორპორაციას".

12. შხარეთა რეკვიზიტები

"კორპორაცია" შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" საიდ. კოდი: 206 237 491 <i>ანკინ ჭაბუკიძე</i>	"მიწის მესაკუთრე" რობინზონ ხახუნელიძე (პირადი №31001017299)
საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი" კოდი: 220101502 ა/ა 145770000 მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ: 24 40 40; ფაქსი: 24 40 41	<i>რობინზონ ხახუნელიძე</i>

დანართი №1.

ამონაწერი "საჯარო რეესტრიდან".

დანართი №2.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო აღომებითი ნახაზი - "მიწის ნაკვეთის" და "მიღსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფნის" საზღვრების მითითებით.

დანართი №3.

სერვიტუტის მიწის აღწერის აქტი.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N100850899



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 26.08.2010 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი ნანი სიღამონიძე

სანოტარო ბიუროს მისამართი ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ #27

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 893-32-67-97

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 98400468618210



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ათი წლის ოცდაექვს აგვისტოს მე ნოტარიუსს ნანი სიღამონიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №27-ში, მომმართეს ბატონებმა თენგიზ ბერიაშვილმა (როგორც შ.პ.ს. "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" წარმომადგენელმა თანახმად მინდობილობის რ/რ №100522054 დად ნოტარიუს ნ. სიღამონიძის მიერ 01.06.2010წ) და რობიზონ ხახნელიძემ მხარეებმა წარმოადგინეს სერვიტუტის ხელშეკრულების პროექტი შედგენილი ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად და მოითხოვეს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დაურწმუნდი, რომ ნამდვილად თენგიზ ბერიაშვილმა (დაბ. 08.07.1954წ. პ № 01007008310, მისამართი : თბილისი დ. ბაქრაძის № 4, ბ 24) და რობიზონ ხახნელიძემ (დაბ. 16.10.1945წ. პ № 31001017292, მისამართი : მცხეთის რ-ნი სოფ. გლდანი) მომმართეს.


მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე მათ განვუმარტე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი ამოწმებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერების ნამდვილობას და არ ადასტურებს ხელშეკრულებაში მოყვანილ ფაქტებს და პასუხს არ აგებს მათ სისწორეზე, რის შემდეგაც ხელმოწერებმა პირადად შეასრულეს ხელისმოწერა წინამდებარე ხელშეკრულებაზე.


გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 4 ლარი /ერთი ეგზემპლარისათვის/, 16 ლარი / ოთხი ეგზემპლარისათვის/. თანახმად კანონის "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 29-ე მუხლისა და 288-ლარი, ხელ 18.88 ლარი / ოთხი ეგზემპლარისათვის /.

ასევე გადახდილია ამავე კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2/ორი/ ლარი /დღგ -ს ჩათვლით/


ნოტარიუსი

ნანი სიღამონიძე





გამოწვევითი პროექტი



პროექტის - UTM ზონა - T 38, გეოგრაფიკული სისტემა - WGS 84

მისამართი: ქ. თბილისი, სოფ. გელდანი

აზოგების თარიღი: 03/01/2013

დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო

კატეგორია: _____

ფართობი: 50344 კვ.მ.

პროექტის აღწერა

- გარდაცემის წერტილები
- ნაკვეთი №1
- ნაკვეთი №2
- შენიშვნა, ნომერი/სართულიანობა
- შენიშვნა (დანერგული) შენობა
- სერვიტუტი ან
- მოსაღწერ ნაკვეთი
- საერთაშორისო UTM სისტემის კოორდინატები

ALLIGATOR

შპს "ალიგატორი"

მის. ქ. თბილისი, ხეობის ქ. №30
 ტელ: 2 38 57 73, 599 36 03 22
 ფაქსი: +995 32 38 57 73
 Email: info@alligator.com.ge

სამაგისტრო აზოგების

ფურცლები

მ. ჯამბურაშვილი

დანიშნულების ადგილი

2002/2013


რეზონანსი

დანიშნულების ადგილი

2002/2013

რეზონანსი

მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი



პროექცია - UTM ზონა - T 38, კოორდინატთა სისტემა - WGS 84

მისამართი: ქ. თბილისი, სოფ. გლდან		აზომვის თარიღი: 01.06.2013
დაწესებულება: სასოფლო-სამეურნეო	კატეგორია:	ფართობი: 1303 კვ.მ.
პირობითი აღნიშვნები ✱ გაზომვის წერტილები — ნაკვეთის ფიქს. საზღვრები — ნაკვეთის არაფიქს. საზღვრები ☐ შენობა, ნომერი/სართულიანობა 0.00 ☐ მშენებარე (დანერგული) შენობა ☐ სერვიტუტის ზონა ☐ მოსაზღვრე ნაკვეთები საერთაშორისო UTM სისტემის კოორდინატები		შპს "ალიგატორი" მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №38 ტელ: 2 38 57 73, 599 36 03 22 ფაქსი: +995 2 32 38 99 23 Email: aligator@caucasus.net საკადასტრო აზომვასზე უფლებამოსილი პირი: <i>[Signature]</i> ჯანტომიშვილი პირი: <i>[Signature]</i> მ. გამიგრაშვილი რობიზონ ხახნელიძე

მიწის ნაკვეთის აღწერილობა

მიწის ნაკვეთის მისამართი	ფართობი კვ.მ.	დანიშნულება
ქ. თბილისი, სოფ. გლდანო	1303	სასოფლო-სამეურნეო

შენიშვნა-ნაბეჭდის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა (შენიშვნა, აშენებული)	სართულიანობა	ფართობი კვ.მ.	განაშენიანების ფართობი
-	-	-	-	-	-

მოსაზღვრე ნაკვეთების მართლმფლობელი მფლობელები (მისამართები)	არსებობა
1	72.13.33.523
2	72.13.33.575


საკადასტრო აღწერაზე დამსწრე პირები	სახელი, გვარი
1	-
2	-

დაინტერესებული პირი	პირადი ნომერი
რობიზონ ხახნელიძე	31001017299

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	მ. ჭაშიერაშვილი
მისამართი / საკონტაქტო ინფორმაცია	ქ. თბილისი, ხეივან ქ. №30 / 2 38 57 73


საკადასტრო აღწერის თარიღი: 03.01.2013

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირის


(ხელმოწერა)


ბ. ა.

დაინტერესებული პირის

✓ 
(ხელმოწერა)



მდინარის ნაპირების საკადასტრო აზომვითი ნახაზი



პროექცია - UTM ზონა - T 38, კოორდინატთა სისტემა - WGS 84

მისამართი: ქ. თბილისი, სოფ. გლდანი		აზომვის თარიღი: 03/01/2023
დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო	კატეგორია:	ფართობი: 49040 კვ.მ.
პირობითი აღნიშვნები გარდატეხის წერტილები ნაკვეთის ფიქს. საზღვრები ნაკვეთის არაფიქს. საზღვრები შენიშვნა, ნომერი/სართულიანობა მშენებარე (დანერგული) შენობა სერვიტუტი გზა მოხაზღვრე ნაკვეთები 0.00 საერთაშორისო UTM სისტემის კოორდინატები		შპს "ალიგატორი" მის: ქ. თბილისი, ხეივანის ქ. № 38 ტელ: 2 38 57 73, 599 36 03 22 ფაქსი: +995 2 32 38 57 73 Email: alligator@caucasus.net საკადასტრო აზომვაზე უფლებამოსილი პირი: დანიშნულების პირი: მ. ჯამბურაშვილი რობიზონ ხახნელიძე

მეწიწის ნაკვეთის აღწერილობა

მეწიწის ნაკვეთის მისამართი	ფართობი კვ.მ.	დანიშნულება
ქ. თბილისი, სოფ. გლდანი	49040	სასოფლო-სამეურნეო

შენიშვნა- ნაბეჭდების რიგითი ნომერი	დანიშნულება	მფლობელობა (მშენებარე, აშენებული)	სართულიანობა	ფართობი კვ.მ.	ბანაშენიანების ფართობი
-	-	-	-	-	-

მოსაზღვრე ნაკვეთების მართლმფლობერი მფლობელები (მისაკუთრებები)	არსებობა
1	72.13.33.462
2	72.13.33.523
3	72.13.33.574


საკადასტრო აღწერაზე დამსჯრე პირები	სახელი, გვარი
1	-
2	-
3	-

დანიშნულებული პირი	პირადი ნომერი
რობიზონ ხახნელიძე	31001017299


საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	მ. ჟამბერაშვილი
მისამართი / საკონტაქტო ინფორმაცია	ქ. თბილისი, ხეივან ქ. №30 / 2 38 57 73

საკადასტრო აღწერის თარიღი: 03.01.2013

საკადასტრო აღწერაზე
უფლებამოსილი პირის


(ხელმოწერა)

დანიშნულებული პირის


(ხელმოწერა)

